საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეკლე ბატონიშვილი

თეკლე ბატონიშვილი

თეკლე ბატონიშვილი (1776 – 1846), პოეტი. ერეკლე II-ის უმცროსი ასული – „თეკლაბიჭი"; პოეტების ა. ორბელიანისა და ვ. ორბელიანის დედა. იყო იმდროინდელი საზ.-*პოლიტ.* ცხოვრების აქტ. მონაწილე. 1832 შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ქ. კალუგაში (რუსეთი) გადაასახლეს. თბილისში დაბრუნების შემდეგ მისი სახლი კულტ.-შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთ კერად იქცა. თ. ბ-ის ლექსებში ასახულია სევდა ბაგრატიონთა დიდების დაკარგვისა და ცხოვრების ჩარხის უკუღმა ბრუნვის გამო; გადმოცემულია პატიმრობის სიმწარე და ბედის სამდურავი.

თხზ. [წიგნში]: ასათიანი ლ., ძველი საქართველოს პოეტი ქალები. გამოკვლევა და ტექსტები, [თბ.], 1936.

ლიტ.: ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი მ. დ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983; გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი დ., ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948; კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., რჩეული ნაწერები ორ წიგნად, წგ. 1, თბ., 1965; უ თ უ რ ა შ ვ ი ლ ი ი., თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991.

ლ. კეკელიძე